# მინაწერი "ქართლის ცხოვრებაზე"

რაც შეიწოვა მიწამა
წარსულის სისხლი მწვიმარი,
რაც კი ცხოვრებამ იწამა,
ცრემლი თვალს ნაციმციმარი,

რომ დაიკარგოს ცვარიც კი
არა ყოფილა ადვილი;
ის ხალხის გულს აქვს ნარიცხვი,
დახსომებული, დათვლილი.

მიწამ რაც უნდა დახარჯოს,
ვერ ამოსწუროს სავსებით, –
იმ სისხლზე ჰყვავის ყაყაჩო
ფერწითელობის მსგავსებით.

იმ ცრემლებს შეუკრეფია
ქართლის ცივტკბილი წყარონი,
იმ ცრემლში გულის ღველფია
და მებრძოლ ხმალთა წკარუნი..,

წარსულის სისხლი მწვიმარი,
რაც შეიწოვა მიწამა,
ცრემლი თვალს ნაციმციმარი,
რაც კი ცხოვრებამ იწამა, –

არ დაკარგულა ცვარიც კი,
დაშრეს, არ არის ადვილი;
ის ხალხის გულს აქვს ნარიცხვი,
დახსომებული, დათვლილი..,